

წმ. მარკოზ მახარებლის წირვის იტალიური თარგმანის ტერმინოლოგიური კვლევა

მარიკა ქითანავა-ლობჟანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები: მახკობი, დიკუხგია, აღექსანდრია

წმ. მარკოზ მახარებლის ლიტურგია უძველესი აღექსანდრიული მსახურებაა, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების პირველივე საუკუნეებში გასცდა ეგვიპტის ფარგლებს.

ცნობილია, რომ წმინდა მოციქულმა აღნიშნული ღმრთისმსახურების წესი ბერძნულ ენაზე შეუდგინა აღექსანდრიის მოსახლეობას, თუმცა იგი მალევე ითარგმნა მრავალ ენაზე.

საყურადღებოა მარკოზ მახარებლის წირვის თანამედროვე ევროპულენოვანი თარგმანები, რომელთა შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია იტალიური (<http://traditiomarciana.blogspot.com>), რომელიც 1970 წლის პროფესორ ფუნდულისის მიერ გამოცემულ ლიტურგიის ბერძნულ ტექსტს (Φοινικισμός, I.M., 1970) მიუყვება და საინტერესო ტერმინოლოგიურ მასალას გვანჯდის სულიერი მსხვერპლშენიერვის დროს აღსავლენი ლოცვების კვლევისას.

სხენებული ღმრთისმსახურების ტექსტის ბერძნულ-იტალიურ ლიტურგიკულ თუ ყოფითი რეალობის ამსახველ ტერმინოლოგიაზე დაკვირვებისას შეგვიძლია გამოვყოთ ტერმინთა ინტერპრეტაციის სამგვარი ხდევრხი:

- ა) ზუსტი თარგმანი (მაგ.: ბერძ. εἰκόν, τό - იტალ. imagine, la; ხატი; ბერძ. qumivama, tov - იტალ. Incenso - საკმეველი; ბერძ. θρόνος, ο - იტალ. trono, il - საყდარი, ტახტი; ბერძ. ἄρτους, ο - იტალ. pane - პური; ბერძ. ποτηρίον, το - იტალ. calice, il - ბარძიმი);

ბ) ჰენდიადისი (მაგ.: ბერძ. ἁγιοαἵμα - იტალ. Santificare, consacrare - განწმენდა);

გ) თავისუფალი თარგმანი (მაგ.: ბერძ. ληυικου~, ο - იტალ. spirituale - სიტყვიერი, აქ. სულიერი; ბერძ. ἁφρηκτο~, ο - იტალ. Settentrione - ჩრდილოეთი (<https://unaparolaalgiorno.it/significato/settentrione>); ბერძ. μεσημρινα, ηφ - იტალ. Mezzogiorno, il - სამხრეთი (<https://www.britannica.com>)).

ზემოთ დასახელებული მაგალითების უმრავლესობა იტალიური ლექსიკური ერთეულების ლათინურიდან სესხებაზე მიგვანიშნებს, რომელიც, თავის მხრივ, მიუყვება ბერძნულს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ენის თეოლოგიური ლექსიკის შესაძლებლობებს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ წმ. მოციქულისა და მახარებლის, მარკოზის, ლიტურგიის როგორც ბერძნული ტექსტი, ისე მისი იტალიური თარგმანი მნიშვნელოვანი ძეგლია საღმრთისმეტყველო თუ ყოფითი ცხოვრების გამომხატველი ტერმინების სიღრმისეული კვლევა-შესწავლისათვის.

ლიტერატურა:

წმიდა მოციქულისა და მახარებლის მარკოზის საღმრთო ლიტურგია – Divina Liturgia Sancti Apostoli et Euangelistae Marci, Parisiis, Apud Ambrosium Drovard, via Iacobaeas, fub D. Martini infigni, M.D. LXXXIII.

ჩვენი წმინდა მამის, მარკოზ მახარებლის, საღმრთო ლიტურგია – La Divina Liturgia del nostro Padre tra Santi l'Evangelista Marco. <http://traditiomarciana.blogspot.com/2018/05/la-divina-liturgia-di-san-marco.html>

ფუმდული, ი.მ. – Φουστουλη, I.M. (1970). Θεία Λειτουργία του Αποστόλου Μάρκου, Θεσσαλονίκη, 1970.

Mezzogiorno significato. <https://www.britannica.com>

Settendiore significato. <https://unaparolaalgiorno.it/significato/settentrione>

TERMINOLOGICAL RESEARCH OF THE ITALIAN TRANSLATION OF THE LITURGY OF ST. MARK THE EVANGELIST

Marika Tchitanava-Lobzhanidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Keywords: Mark, liturgy, Alexandria

The Liturgy of St. Mark the Evangelist is an ancient Alexandrian service which was widespread in the first centuries of the spread of Christianity outside of Egypt.

It is known that the Holy Apostle introduced the rule of this worship in Greek to the people of Alexandria, although it was soon translated into many languages.

Noteworthy are the modern European translations of the Liturgy of St. Mark the Evangelist, among which the Italian version (<http://tradiomarciana.blogspot.com>) deserves a special mention; it follows the Greek text of the liturgy published by Professor Fundulis in 1970 (Φουντούλη, I.M., 1970) and provides an interesting terminological material for the study of prayers offered during spiritual sacrifice.

When observing the Greek-Italian liturgical or everyday reality terminology of the mentioned worship service, we can distinguish three ways of interpreting the terms:

- A) Accurate translation (eg. Greek - eijkovn, tov, Italian **imagine, la**; icon; Greek qumivama, tov - Italian **Incenso** - incense; Greek qrovno~, o - Italian **trono, il** - throne, throne; Greek - ajrtov~, o , Italian **pane** - bread; Greek pothvri - Italian **calice, il** - cup);
- B) hendiadis (eg. Greek ajgiavzw - Italian **Santificare, consacrare** - purification);
- C) Free translation (eg. Greek logikov~, o - Italian **spirituale** - verbal, here. Spiritual; Greek - avjrko~, o - Italian **Settentrione** - North (<https://unaparolaalgiorno.it/significato/settentrione>) ; Greek meshmbriva, hj -

Italian **Mezzogiorno, il** - South (<https://www.britannica.com>)).

Most of the above examples point to the borrowing of Italian lexical items from Latin, which in turn translates to Greek. This is another proof of the power of the higher theological vocabulary of this language.

Finally, it can be said that both, the Greek text of the Liturgy of St. Apostle and Evangelist Mark and its Italian translation, are important monuments for in-depth study of the terms expressing theological or contemporary life.

References:

Divine Liturgy of Saint Apostle and Evangelist Mark – Divina Liturgia Sancti Apostoli et Euangelistae Marci, Parisiis, Apud Ambrosium Drovard, via Iacobaes, fub D. Martini infigni, M.D. LXXXIII.

Divine Liturgy of Our Father Saint Apostle and Evangelist Mark – La Divina Liturgia del nostro Padre tra Santi l'Evangelista Marco, <http://traditionarciana.blogspot.com/2018/05/la-divina-liturgia-di-san-marco.html>

Φουντούλη, Ι.Μ. (1970). Θεία Λειτουργία του Αποστόλου Μάρκου, Θεσσαλονίκη.

Mezzogiorno significato. <https://www.britannica.com>

Settentrione significato. <https://unaparolaalgiorno.it/significato/settentrione>